ოქმი # 6

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 16 ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, თ. დათუაშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი).

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში, ბატონი მ. ჩხენკელი.

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტისთვის ახალ შენობაში გადასვლის შეთავაზების განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : განათლების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველის, ბატონ მიხეილ ჩხენკელის გამოსვლა, რომელმაც ინსტიტუტს შესთავაზა გადასვლა ახალ შენობაში, რომელიც შენდება დიდი დიღმის ტერიტორიაზე. განზრახულია ამ შენობაში ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გარდა რამოდენიმე სხვა კვლევითი დაწესებულების განთავსება.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელმა ი. კიღურაძემ, რომელმაც არ მოიწონა ეს შეთავაზება და ნაცვლად ამისა წამოაყენა წინადადება, რომ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული შენობა, და შესაძლებელია, რომ ამავე შენობაში განთავსდეს სხვა მონათესავე პროფილის მქონე ინსტიტუტები, მაგალითად, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, და ამის ბაზაზე შეიქმნას ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა ეროვნული სამეცნიერო ცენტრი.

დიდი დიღმის ტერიტორიაზე გადასვლასთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება და ბატონი ი. კიღურაძის წინადადების მხარდაჭერა გამოხატა საბჭოს წევრების უმრავლესობამ.

ბ-ნი მ. ჩხენკელი გულისხმიერებით შეხვდა ბ-ნი ი. კიღურაძის ამ მოსაზრებას და საბჭოს წევრებს შეპირდა, რომ ის გააცნობს ამ წინადადებას საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე

ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE